გაზეთის „ახალი განათლება" ხელმოწერის შესყიდვის შესახებ

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №253 - 7**

თბილისი 8.01.2018 წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების (მე-3 მუხლის I-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტი) შესაბამისად.

ერთი მხრივ, შ.პ.ს „ახალი განათლება" (შემგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის მარიკა ჩიქოვანის სახით და მეორე მხრივ, სსიპ(სამტრედიის მუნიციპალიტეტის) ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის [illegible] ---------- სახით დადეს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

## 2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 პერიოდული გამოცემის გაზეთის „ახალი განათლება" 2018 წლის ხელმოწერის შესყიდვა (CPV: 22200000) (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი").

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 76(სამოცდათექვსმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად გამოსცეს გაზეთი „ახალი განათლება" და ეტაპობრივად (ყოველკვირეულად) მიაწოდოს „შემსყიდველს" სააგენტოს საშუალებით, 2018 წლის 18 იანვრიდან 2018 წლის 27 დეკემბრამდე (გარდა ივლისი –აგვისტოს თვისა) სულ, წლის განმავლობაში – 40 ნომერი.

ბ) შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში. გაზეთის ყველა ნომერი მიეწოდება ელექტრონული ზედნადების თანხლებით.

4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების დადებიდან ორი კვირის ვადაში, ჩარიცხოს საბანკო ანგარიშზე გაზეთის ხელმოწერის ღირებულება.

## 5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ატვირთული ზედნადების დადასტურების შემდეგ.

### 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 8. სადავო საკითხთა გადაჭრის პირობები

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „ახალი განათლება"
ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზ №126
axaliganatleba@gmail.com
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE 86 BG 0000000123631000
ს/კ 202058735. ბ/კ BAGAGE22

დირექტორი მ. ჩიქოვანი

„შემსყიდველი"

სსიპ ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა
სს „თიბისი ბანკი"
ა/ა GE60TB7606433020100001
ს/კ 238762987
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორი

# შპს ახალი განათლება

ქ. თბილისი; ა. წერეთლის გამზ №126; www.axaliganatleba.ge; ელ.ფოსტა: axaliganatleba@gmail.com

ინვოისი № 253

თარიღი: ———2018წ.

შემსყიდველი: სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა

მიმწოდებელი: შ.პ.ს. ახალი განათლება

შესყიდვის ობიექტი: პერიოდული გამოცემის გაზეთის „ახალი განათლება" 2018 წლის ხელმოწერის შესყიდვა

ფასი: 76(სამოცდათექვსმეტი) ლარი.

შ.პ.ს. ახალი განათლება

მისამართი: ქ. თბილისი; ა. წერეთლის გამზ. №126

ს/კ 202058735

ანგარიში: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ბ/კ BAGAGE22

ა/ა GE86BG0000000123631000

დირექტორი: მ. ჩიქოვანი

შენიშვნა:

ა) შემსრულებელი არ წარმოადგენს დ.ღ.გ-ს გადამხდელს

ბ) პერიოდული გამოცემა გათავისუფლებულია დ.ღ.გ.-სგან.